წელიწადი მე-2
ტელეფონი № 76.
კვირა, 30 ოქტომბერი

სამშობლო

ფასი 5 კ.

გაზეთის ფასი:
წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადებების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 472 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 472

ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას ცნობილის ისტორიკოსის

თედორე ჟორდანიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი გადახდილ იქნება დღეს საკათედრო ტაძარში, დილის 12 საათზე.

ისტორიკოსის თედო ჟორდანიას

ნამოწაფარნი და მისი ღვაწლისა და შრომის ღრმად პატივის მცემელნი მწუხარებით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას ძვირფასი მუშაკის დაკარგვას. პანაშვიდი დანიშნულია დღეს 30 ოქტომბერს, ქუთაისის საკრებულო ტაძარში, დილის 12 საათზე.

დღეს, კვირას 30 ოქტომბერს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში **ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის მიერ** გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

თევდორე დავითის ძე ჟორდანიას

გვამის დაკრძალვის გამო, განსვენებულის სულის მოსახსენებლათ.

დღეს, კვირას 30 ოქტომბერს 12 საათზე მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

ლადო დარჩიაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ამხანაგებს, მეგობრებს და პატივის მცემლებს მისი ამხანაგები. 1916 წ.

მიხეილ (მიშა) გრიგოლის ძე ლობჟანიძე გულითადი მწუხარებით აუწყებს მეგობართ და ნაცნობთ, გარდაცვალებას უძვირფასესი **დის**

ნინო ლობჟანიძისას.

განსვენება მოხდება კვირას, 30 ოქტომბერს ნაშუადღევს 3½ საათზედ საფირჩხიის სასაფლაოზედ. გამოსვენება საკუთარი ბინიდგან, არქიელის გორა სახლი ი. თუთბერიძისა (დიდ ცაცხვებთან.)

კვირას, 30 ოქტომბერს დღის 1 საათზე საფირჩხიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი გარდაცვლებულის ქუთ. საოლქო სასამართლოს წევრის

გრიგოლ ივანეს ძე ვასილიევის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებს ქვრივი გარდაცვალებულისა.

გაზ. „სამშობლოს" კანტორა

აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ ვისაც ამ წლის ბოლომდე სრულიათ არა აქვს ხვედრი ფული შემოტანილი 1 ნოემბრიდან აუცილებლათ შეუწყდებათ გაზეთის გზავნა.

აზოვ-დონის კომერციული ბანკის
ქუთაისის განყოფილება
პატივისცემით აუწყებს საზოგადოებას, რომ ბანკის განყოფილებაში უკვე გაიმართა ხელის მოწერა სახელმწიფო სამხედრო მოკლე ვადიან 5½ პროც. 1916 წლის მეორე გამოცემის სესხზე.
ასი მ.—95 მანეთათ.
განყოფილება ღია არის საზოგადოებისათვის დილის 8½ საათიდან 2 საათამდე, გარდა კვირა-უქმეებისა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შესახებ ამ სესხისა შეიძლება განყოფილებაში.
3—1.

ელექტრო **„ამპირ"** თეატრი
27 ოქტომბრიდან იქნება ახალი პროგრამა
ქრონიკა გომონისა.
მიმდინარე ამბებიდან
ქეზა სიგიუეს
კინო დრამა 5 ნაწილად ცნობილ არტისტების მარიამ რუტცის და ნ. წერეთლის მონაწ.
ანონსი: ორშაბათ, 31 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება:
მწვანე ობობა კინო დრამა 5 ნაწილად მ. რუტცის, ნ. წერეთლისა და ხახლოვის მონაწილეობით.

ელექტრო **„რადიუმ"** თეატრი
27 ოქტომბრიდან იქნება ახალი პროგრამა
მიმდინარე ამბებიდან **ქრონიკა გომონისა** მიმდინარე ამბებიდან
სხვისი ცოდვებისათვის.
ძლიერი დრამა 4 ნაწილად ეპილოგით მსახიობ ქალის თინა ფაბრის მონაწ.
დიდინაცვალი დააჭუნარეს სახუმარო სურათი
ანონსი: ორშაბათ, 31 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება:
მარგარიტა გოტიე
ცნობილ ალექსანდრე დიუმას რომანის მიხედვით ფრანჩესკა ბერტონის მონაწ.

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 14.
დღეს, 30 ოქტომბერი 1916 წ.
პოლტავენკო:
ახალი ცხოვრება
დრამა 4 მ. თარგ. ა. იმედაშვილისა.
მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., მდივანი მ., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ. ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., გუგუშვილი ალ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ. ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ.,
რეჟისორი ალ. იმედაშვილი. თანაშ. ალ. გუგუშვილი
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მორიგე წევრი გამგეობისა ა. ფალავა.
ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მსოფლიო ომი.

დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბი საგან.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი 28 ოქტომბერი. სკრობოვოსთან მოწინააღმდეგემ რამდენჯერმე შემოგვიტია, რომლის დროსაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ნაწილებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია მტერს და შვიდი იერიში მოიგერია, მაინც მტერმა აიძულა ჩვენი ჯარი მეორე ხაზის თხრილებამდი დაეხევინებინა. ამ იერიშების დროს მტერი ცეცხლის მფრქვეველებს ხმარობდა. მდ. ბისტრიცაზე სოფ. პაციკოვისა, ლისეცისა, სტარისა და ბოგოროდჩანი სტარიეს მიდამოებში ჩვენი მზვერავები მარჯვედ მოქმედებდნენ.

დორნა ვატრის სამხრეთით, მდ. ბისტრის ველზე სოფ. სოლლოსთან, ტოდიეშთან და პუტნასთან მტერმა კონტრ-იერიში მოიტანა და გვაიძულა რამდენიმე სიმაღლე დაგვეტოვებინა; ბრძოლა კვლავ გრძელდება.

კავკასიის ასპარეზი.

ქამადნის მიმართულებით ოსმალთა ერთი როტის შემოტევა მოვიგერიეთ.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 27 ოქტომბერი. საღამოს ოფიციალი. სომმაზე დღის განმავლობაში მნიშვნელოვანი ბრძოლები არ მომხდარა. მხოლოდ საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა საისაიზელის ახლო პრესუარის სამხრეთით და ქვეითა ჯარის მცირე შეტაკებანი, რომლის დროსაც რამდენიმე განცალკევებულ პუნქტებიდან მტერი განვდევნეთ და წავართვით ტყვეები. ამათი სიტყვით საიზელთან მტერი დიდად დაზარალებულა. დუომონის სექტორში საარტილერიო ბრძოლაა. დანარჩენ ნაწილებში საყურადღებო არაფერი მომხდარა.

ჰავრი. 27 ოქტომბერი. ბელგეთის ოფიციალი. რამსკაპელესა და პერვიზასა მიდამოებში და უფრო აღმოსავლეთით ძლიერი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

რუმინიის ასპარეზი.

პეტროგრადი მდ. ტროტუშის ველზე მოწინააღმდეგის წინსვლა ზარბაზნების სროლით შევაჩერეთ. ბუზეოს ველის დასავლეთით მოწინააღმდეგემ წინსვლა იწყო და რუმინელებს ოთხი ვერსით სამხრეთისაკენ დაახევინა. პრედეალის მიმართულებით რუმინელებმა შეტევა იწყეს და მოწინააღმდეგის მარცხენა ფრთას უვლიან; აქ ბრძოლა გრძელდება. კიმპოლუნგის მიმართულებით ნემსეშტისთან მოწინააღმდეგის იერიში მოგერიებულ იქნა. დუნაის ბრძოლის პირი. ჩვენმა ცხენოსანმა და ქვეითა ჯარმა დაიპყრო სად. დუნარესი, რომელიც ჩერნოვოდის დასავლეთით 3 ვერსის მანძილზე იმყოფება, და ეხლა ჩერნოვოდის ხიდის დასაპყრობად იბრძვის. დაპყრობილ ადგილებში დავთვალეთ 200 მოკლული, ხელთ ვიგდეთ ტყვეები და ერთი ტყვიის მფრქვეველი. ჩვენ დავიპყრეთ ქ. გირსოვო, სოფ. მუსულუი და სიმაღლეები, რომლებიც დელგერის სამხრეთით 3 ვერსის ხოლო კისმიჯის სამხრეთ დასავლეთით 5 ვერსის მანძილზე იმყოფებიან.

მაკედონიის ასპარეზი

სოლუნი. 27 ოქტომბერი. სერბეთის ოფიციალი 26 ოქტ. საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. მოხდა აგრეთვე ქვეითა ჯარის უმნიშვნელო შეტაკებანი.

პარიზი. 27 ოქტომბერი. საფრანგეთის ოფიციალი არა ჩვეულებრივი არაფერი მომხდარა. ცუდი ამინდი გრძელდება.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ინგლისში ამ ჟამად სამხედრო მასალას 4,380 ქარხანა და სახელოსნო ამზადებს და აზრადა ჰქონიათ კიდევ გაადიდონ ამ ქარხნების რიცხვი.

— —

გენ. ფალკენჰაინის ჯარში შედის გერმანელთა ვერდენიდან წამოყვანილი 3 დივიზია, ერთი რიგის ყურედან, ერთი ავსტრიელ- გერმანელთაგან ახლად შედგენილი და 6 ავსტრიელთა დივიზია. სულ ფალკენჰაინს ამ ჟამად 200000 ჯარი ჰყოლია.

— —

ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზი. სკრიბოვოს მიდამოებში გერმანელებს მრავალი იერიშის შემდეგ რუსებისათვის უკან დაუხევინებიათ; გერმანელებს აქ ახალი იარაღი ცეცხლის მფრქვევლები მოუშველებიათ. დორნავატრას სამხრეთით მდ. ბისტრიცაზე გერმანელებმა რუსებს უკან დაახევინეს.

კავკასიის ასპარეზი. ქამადანის მიმართულებით რუსებმა ოსმალების შემოტევა მოიგერიეს.

დასავლეთის ასპარეზი. სხვა და სხვა ნაწილში საარტილერიო ბრძოლა ხდება.

იტალიის ასპარეზი. მდგომარეობა უცვლელია.

რუმინიის ასპარეზი. ბუზეოს ველზე ავსტრიელებმა რუმინელებს 4 ვერსით უკან დაახევინეს. პრედეალის მიმართულებით რუმინელები უტევენ. ჩერნოვოდის დასავლეთით რუსებმა წინ წაიწიეს. რუსებმა აიღეს ქ. გირსოვო და სოფ. მუსულუი.

მაკედონიის ასპარეზი. საყურადღებო არაფერი მომხდარა.

ინგლისელთა გემი „გლენლოგენი„ და ტრალერი „ფლორეალი“ გერმანელთა წყალქვეშას ჩაუძირავს.

—

ფრანგულ სავაჭრო გემს, „დუკალას“ ლია ზღვაში შეხვედრია გერმანული წყალქვეშა და ბრძოლა გაუმართავს. 40 წუთის ბრძოლის შემდეგ სავაჭრო გემმა წყალქვეშა გააქცია და გზა განაგრძო.

—

კოველთან და დორნავატრასთან გერმანელებს ახალი დამხმარე ჯარები მოსვლიათ.

—

სატახტო გაზეთებს ატყობინებენ: პოლონეთის მომავალი ჯარი ალბათ შესდგება იმ ლეგიონებისაგან, რომლის მართველები დღეს ავსტრია უნგრელი პოლონელებია რადგანაც აფიცერთა შორის ძალიან ცოტაა რუსეთის პოლონელი, იბადება კითხვა: ვინ უნდა იუფროსოს. ეჭვს გარეშეა მოწვეულ იქნებიან გერმანელ-ავსტრიელი ოფიცრები. პოლონელ ჯარს არ ეყოლება თავისი შტაბი, არც არტილერიის აფიცრები, არც სპეციალი ინჟინრები, და იძულებულნი იქნებიან უცხოელნი მოიწვიონ. ამ გვარად, უსათუოდ სათავეში გერმანელები ჩაუდგებიან.

—

გაზ. „დეილი მეილი“ რეიხსტაგის დახურვას გენ. ჰინდენბურგს აწერს.

—

რუმინულ გაზ. „ადვერულის“ მიმომხილველი გენ გარდესკული ამბობს, რომ გერმანელებმა ტრანსილვანიაში უკანასკნელი რეზერვები მოყარეს და ეხლა დანაკლისის შევსება უძნელდებათო.

—

როგორც რომიდან იტყობინებიან ავსტრიის იმპერატორს ნება დაურთავს ბავარიის პრინცი ლეოპოლდი პოლონეთის მეფის ტახტზე აიყვანონ ბავარიის მეფე ლიუდვიგი ლეოპოლდის ტახტზე ასვლას დაესწრება და ამისათვის უკვე ვარშავაში გაემგზავრა.

—

გერმანიაში შეუდგენიათ ახალი საზღაპროდ დიდი სამხედრო ქარხნებისა და სახელოსნოების პროექტები. გერმანელებს სურთ, რომ იარაღისა და ტყვია წამლის დამუშავებაში უპირატესობა მათ მხარეზე დარჩეს.

—

გაზ. „რეჩის“ სამხედრო მიმომხილველი წერს: „იმ ძალების გარდა, რომლებსაც ცენტრალური კოალიცია ტრანსილვანიის და დობრუჯის ბრძოლის პირებზე აბრძოლებს, რუმინეთის წინააღმდეგ ახალი ჯარი ირაზმება. დუნაის იქით მაკენზენის ახალი შემტევი ჯგუფი სდგება, რომელი ჯგუფიც, ალბად, დუნაის გადალახვის შემდეგ ბუქარესტისაკენ უნდა გაემართოს“.

—

ათინის მთავრობისთვის გერმანიას გამოუცხადებია, რომ, რადგანაც ვენიზელოსი გერმანელებთან საომრად საბერძნეთის ბატალიონებს გზავნის, ამიტომ ჩვენც საბერძნეთის ფლოტს ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოს ფლოტად ჩავთვლით და ბერძნულ გემებს აღარ დავზოგავთო.

—

ინგლისური „ვესტმინსტ გაზ.“ სწერს: მოკავშირეებს ორგანიზაციის წყალობით ბევრი იარაღი და მრავალი ჯარი ყავთ, ასე იქნება შემდეგშიაც და თუ ომმა 1917 წლის შემდეგაც გასტანა, უეჭველია მოკავშირეები გამარჯვებულნი დარჩებიან, რადგანაც მრავალი იმის ნიშნები, რომ გერმანელები მოიქანცნენ, აღარ შეუძლიათ ბრძოლა და სეპარატიულ ზავის ჩამოგდებას სცდილობენო.

სამხედრო მიმოხილვა.

რუმინიის ასპარეზზე ბრძოლები ერთობ გაძლიერდა; თითქმის ყველა მიმართულებით ფართე მოქმედება იწყეს ორივე მხარემ.

გენ. ფალკენჰაინის ჯარს შეტევა განუახლებია და რამდენიმე ალაგას რუმინელებისათვის უკან დაუხევინებიათ და დანარჩენ ნაწილებშიაც იერიშები მიაქვს.

ხოლო პრედეალის მიმართულებით, როგორც ეტყობა უპირატესობა რუმინელების მხარეს ყოფილა და ამიტომაც შეტევა დაუწყიათ.

ბოლო დროს ბევრი იწერებოდა იმის შესახებ, ვითომ ავსტრიელებს პრედეალის მიმართულებით ბუქარესტისაკენ გალაშქრება დაესახოთ მიზნად.

რუმინელებს ეხლა სწორედ აქ დაუწყიათ მოქმედება, რათა რუმინელებს წინ აღუდგნენ და არ გადაუშვან სამხრეთისაკენ.

რას აპირებენ ნამდვილად ავსტრიელებ ეს ახლო მომავალში გამოჩნდება, როდესაც მაკენზენის მიერ ჩერნოვოდან დაწყებული ოპერაციის ნამდვილი სახე გამოირკვევა.

ამ ბრძოლების შესახებ ფრიად გაურკვეველი ცნობები მოდის; გუშინდელ დეპეშებიდან ერთი ცნობაა მხოლოდ ცხადი, რომ რუსებს გირსოვო აუღიათ, ხოლო რაც შეეხება „ჩერნოვოდის ხიდის ასაღებად წარმოებულ ბრძოლას“, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ამბავი ხდება დუნაის მარცხენა სანაპიროზე, ვინაიდან დუნაის მარჯვენა სანაპირო კარგა ხანია გირსოვომდე ბულგართა ხელშია.

მაშასადამე მაკენზენის ჯარს გადაულახავს დუნაი და რუსებს უკვე რამდენიმედ დაუხევინებიათ კიდეც უკან ბულგარელები.

შვერდი.

ძღვნად.

თ. ჟორდანიას ხსოვნას.

ფართე საზოგადოება ჯერ დღესაც ნაკლებად იცნობს ჩვენებურ სასულიერო სკოლებს, დღესაც ნაკლებად გვაინტერესებს მათი სვე-ბედი და ამ ოცი თუ ოცდაათის წლის წინად ხომ ყველასაგან მივიწყებული იყო ჩვენი სასულიერო სასწავლებლები.

რა ხდებოდა ამ სასწავლებლებში, რას გვასწავლიდენ, როგორ გვექცეოდნენ და ან რისთვის გვამზადებდენ, არავინ არაფერი იცოდა, გარდა ორის დაინტერესებულის ბანაკისა.

ერთი იყო მთავრობა სემინარიისა და მეორე—მოწაფენი.

პირველი ცდილობდა რაც შეიძლება გამოეთაყვანებინა მოწაფენი, მეორენი კი ცდილობდენ აღეზარდათ თავისიანებში სული პროტესტისა და განემტკიცებინათ ალღო თავ-დაცვისა!..

ასეთი არა პედაგოგიური და ბატონყმური განწყობილება ორივე ბანაკს ძალზე ვნებდა და წელიწადიც არ გადიოდა ისე, რომ ერთი თავპირის მტვრევა არ ყოფილიყო ხოლმე სემინარიის კედლებში.

გამარჯვებული, რასაკვირველია, პირველი ბანაკი რჩებოდა, ვინაიდგან ძალა და უფლება მის ხელში იყო.

ყოველ წლივ ასობით ერეკებოდენ საუკეთესო მოწაფეებს სკოლიდან, ხოლო ვინც რჩებოდა, უმრავლესობა გადაგვარებისა და გამოთაყვანების გზაზე ადგებოდა...

ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ დღეს ჩვენი სამღვდელოება მხოლოდ სკუფია—კამილავკაზე ჰფიქრობს და, ყოველივე უფლებას მოკლებული, სულ თავის მუცელს ჩასტირის.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დღესაც აკადემია—სემინარიაში სწავლა დამთავრებულთა უმრავლესობა სულით და გულით გაჩინოვნიკებულია, მშიშარაა, იეზუიტურ პოლიტიკას აწარმოებს.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დღესაც სემინარია-აკადემიაში სწავლა დამთავრებულთა უმრავლესობა მხოლოდ „დანოსებითა“ და ერთმანეთის დაბეზღებით სცდილობს ხოლმე ლუკმის გატანას და ბევრი მათგანი კანცელარიის ვირთხადაც კი გადაქცეულა (канцелярская крыса)

სამაგიეროთ სემინარიიდანვე გამოვიდნენ თვალსაჩინო მებრძოლი პროტესტანტნიც და თუ დღეს რაიმე სიკეთე და თვით-ცნობიერება სჭირს საქართველოს არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვით იმ სემინარიელთ, რომელთაც სავსებით შეიგნეს სიგლახე მაშინდელის რეჟიმისა დ თავის ძალ-ღონე შესწირეს ჩვენის ხალხის გამოფხიზლების საქმეს.

ასეთ სემინარიელთა გათვითცნობიერებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ზოგიერთა მასწავლებელთ და მათ შორის პირველი ალაგი ჩემს გულში უჭირავს თედო ჟორდანიას.

მან შეგვაყვარა ქართველი ხალხი, ქართული ისტორია, ქართული ერის მომავალი!

მე არ ვიცი კერძოთ ვისთან რა დამოკიდებულება ჰქონდა განსვენებულს, არ ვიცი რამ გამოიწვია ქართველ მოღვაწეთა ერთ ჯგუფში უკმაყოფილება მის პიროვნებით, მე მხოლოდ ის ვიცი რომ ის სულით და გულით დიდი ქართველი იყო და ბევრი კეთილი აზრებიც ჩანერგა თავის მოწაფეებში.

შეიძლება სულით და გულით ქართველი მასწავლებელი—შებორკილი და შებოჭილი ყოველი მხრით, ერთგვარის ორმაგობით სცდილობდა დიდი ეშმაკების მოტყუებას და თითონვე კი რჩებოდა მოტყუებული, მაგრამ ის რომ ქართული ენისა და ქართველებისა მოძალადე არ იყო, ამას ამტკიცებს მისი ქადაგება-მოძღვებანი ქართულ გაკვეთილების დროს, ამას ამტკიცებს მისი უკვდავი შრომანი ქართულ ისტორიიდან.

ქვეყნის ორგული მტვერსა და მჭვარტლში არ ჩაიკლავდა თავს ქართული ისტორიის მასალების მოსაგროვებლად, ვინაიდან ორგულობისათვის უფრო ადვილი გზა არსებობს!...

ნათლადა სჩანს რომ ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი ვერა გრძნობს იმ დანაკლისს, რაც მას მოუვიდა თედო ჟორდანიას დაკარგვით, მაგრამ გავა დრო და ეს ნაკლი ყველას დაალონებს და დააფიქრებს...

ჩვენში ხომ გზა მაშინ გიმოჩნდება ხოლმე, როცა ურემი გადაბრუნდება!

განისვენე ამ ქვეყნად წამებულო მუშაკო. უსამართლობით აღშფოთებულმა შენმა გულმა უკვე მოისვენა. შენ პირადად მოიხადე შენი ვალი, ხოლო რაც შენ ჩვენთვის გიმოძღვრია ჯერ კიდევ ჩვენ ვალად გვაწევს და ვეცდებით ზედმიწევნით მოვიხადოთ შენ ტურფა და საყვარელ სამშობლოს წინაშე.

ია ეკალაძე.

ბედი პოლონეთისა.

(დასასრული)

(იხ. „სამშობლო“ № 471)

ამასობაში მოახწია ზაფხულმა 1915 წ. გენერალ მაკენზენის ფალანგამ გალიციაში გაარღვია რუსის ჯარის წრე და რუსის მხედრობა იძულებულ ჰყო გალიცია პოლონეთი დაეცალა...

ამ შემთხვევაში გერმანელებს დაუდგათ საუკეთესო დრო. მთელი პოლონეთი უკვე მათ ხელში ჩავარდა... მაგრამ გერმანელებს სურდათ, რომ რუსეთის პოლონელები მიეღოთ, როგორც მშველელნი, ამიტომ ბავარეთის ტახტის მემკვიდრემ საჭიროდ დაინახა ქალაქ ვარშავაში შესასვლელათ ერთგვარ ცერემონიისთვის მიემართა:—სახელდობ მთელს ჯარს, რომელიც ვარშავაში შედიოდა, გადააცვა პოლონური ეროვნული სამხედრო ტან-საცმელი და სამხედრო მუსიკისათვის ებრძანებია პოლონური მარში დაეკრა...

ამ შემთხვევაში მათ თავიანთი თავი გაიკეთილშობილეს პოლონელებთა თვალში. ეს არც გასაკვირალი არის. ვინაიდან თუ 20 მილიონიანი პოლონეთი რუსების წინააღმდეგ ხმალს იძრობდა, ეს დიდი ახალი ძალის შეძენა იქნებოდა გერმანელების მხრით.

ამისთვის გერმანელებმა შეძლების დაგვარად იწყეს რუსეთის პოლონელების გულის მოგება.

ჯერ შარშან შემოდგომაზე გახსნეს ვარშავაში ეროვნული პოლონური უნივერსიტეტი, შემდეგ მიანიჭეს რუსეთის პოლონეთს საქალაქო თვით მართველობა რომელიც პოლონეთს არ ეღირსა რუსეთის ბიუროკრატიამ.

ამას გარდა გერმანელები შეძლების და გვარად უსრულებდნენ პოლონელებს სურვილებს და მათ აბამდენ გაკეთებულ მახეში...

ამ დროს რუსეთის მთავრობის აზრი რყევაში იყო. მას არც ეხლა ჰქონდა გარკვეული აზრი პოლონეთის შესახებ. წარმოიდგინეთ გაუგებრობამ იქამდე მიაღწია რომ დანამდვილებით არ იცოდენ თუ რას უმზადებდა პოლონელებს მთავარ სარდლის მოწოდება ავტონომიას თუ ფართო საოლქო თვით მართველობას.

ყოფილმა გარეშე საქმეთა მინისტრმა საზონოვმა სახელმწიფო დუმაში სწორედ იმ დღეს იხმარა სიტყვა „ავტონომია“ ოფიციალურათ როდესაც რუსეთი იძულებული იყო ვარშავა ბავარეთის კრონპრინცის ჯარებისათვის ჩაებარებინათ.

როგორც რუსეთის პროგრესიული პრესა ამ შემოდგომაზე სამართლიანათ აღნიშნავდა, პოლიტიკური ცინიზმი ამაზე შორს არ წასულა. როცა პოლონეთი ჩვენი იყო, მაშინ არ ვახსენეთ სიტყვა ავტონომია და როცა წაგვართვეს მაშინ კი.

არაფერს დავამატებ. სიმართლე ისედაც ნათლად სჩანს...

როდესაც წელს მაისში გენერალი ბრუსილოვი ბუკოვინა—გალიციაში შეტევაზე გადავიდა და მოსალოდნელი იყო, რომ გალიცია პოლონეთი კვლავ რუსეთის ხელში ჩავარდნილიყო, რუსეთის პრესამ სამართლიანათ მოითხოვა, რომ საპირ ეხლავე ხელმეორედ გამეორებულ იქ ოფიციალურათ [illegible] მიო. მოითხოვდენ, რომ მოეწვიათ საჯ გებო კრება და [illegible] ფორმა პოლონეთის ავტონომიისა.

მაგრამ მოლოდინი აქაც გამტყუნდა.

საკითხი კვლავ საკითხად დარჩა, მხ ლოდ გარეშე საქმეთა მინისტრი საზ ნოვი, რომელსაც ძლიერ სურდა ოფ იალურად გამოეცხადებინა პოლონ ავტონომიურ ერთეულად, „ავადმტყოფ ბის“ გამო დასასვენებლად იქნა მიწვე ლი სახელმწიფო საბჭოში.

ამ შემთხვევაში უნდა ვსთქვათ რომ სეთის გავლენიანი წრეები გერმანე ხელში სათამაშო იარაღათ იქცა—რა ხელი შეუწყო გერმანეთის გავლენ ზრდას პოლონეთში.

როგორც რუსეთის გაზეთები გადმოქ ცემენ, სწორედ ამ მომენტიდან დაჰკარგ პოლონელებმა იმედი რუსეთისაგან სიკე თის მოლოდინისა.

წარმოიდგინეთ, რომ ისეთმა პოლონე ლებმაც კი, რომელთა ძვალ-რბილში გა დგარი იყო სიყვარული რუსეთის მთავრო ბისადმი და რომელნიც ღირსეული შვილნ იყვნენ რუსეთის „სლავიანურ ოჯახისა“, პირი იბრუნეს გერმანეთისაკენ და ხალხში დაიწყეს ქადაგება რუსეთის წინააღდეგ...

ძლიერ ბევრი სენსაციონურ ხმები და დიოდა ხალხში. ჩვენ ისე მივეჩვიეთ ყოველისფერს, რომ ყველაფრისთვის მზად ვიყავით... ამიტომ როცა დღეს საზღვარ გარეთიდან დეპეშებმა ოფიციალური ამბავ მოიტანეს, რომ ავსტრო-გერმანეთმა პოლონეთ თს თავის მოკავშირე სახელმწიფოდ გამოაცხ დათ, ჩვენ სრულებით არ გავკვირებულ ვართ. ჩვენ ამას ველოდით, ვინაიდან გერმანეთს ჯარი ძლიერ აკლია, და ამ თვის ის ნახევარი მილიონი ჯარი, რო ლის გამოყვანაც ბრძოლის ველზე ეხ პოლონელებს შეუძლიათ, მათვის ძლიე საჭიროა..

ამგვარად დღეიდან არის დამოუკიდე ბელი პოლონეთი, რომლის დღეგრძე ლობა მთლად ომის მსვლელობაზეა დამო კიდებული..

ჯერ ომს უკანასკნელი სიტყვა არ უთქვამს და რას იტყვის ამის გამოც ნობა შეუძლებელია..

მომავალია პოლონეთისა და პაწი ერებისა კვლავ შავი ბურუსით არი მოცული... ხვალინდელი დღე რას მო ტანს არავინ იცის. .

მ. საირხელი.

ახალი ამბავი.

ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, პარასკევს, 28 ოქტომბერს შესდგა საბჭოს სხდომა. სხდომის გახსნამდის ქალაქის მოურავის მოადგილემ ბ. მოსიძემ მოუწოდა საბჭოს ფეხზე ადგომით პატივი ეცათ ქალთველი მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის და ეხლად გარდაცვალებულ თევდორე ჟორდანიას ხსოვნისათვის, შემდეგ ამისა განხილულ იქნა მიმდინარე საქმეები და დაადგინეს შემდეგი: 1) გადამდებ სენიანთა საავადმყოფოში მოსამსახურე პირთ, დამატებითი ჯამაგირები მიეცეთ 33 °/₀.

2) ქუთაისის საკათედრო ტაძრის მნათეთ დანიშნულ იქნას ფილიპე გიორგის ძე მგალობლიშვილი. 3) აირჩიეს საბაღოსნო და ტყეთა კომისიის თავჯდომარეთ სერგო ბახტაძე, და წევრათ ამავე კომისიისა ბართლომე მოსეშვილი.

◆ შაბიამნის შესახებ 28 ამ თვეს „რეგულიატორის“ თავმჯ. ი. გაბილაიამ ინახულა მეღვინეობის და მევენახეობის კომიტეტის თავმჯდომარე მულინი, რომელსაც შაბიამნის შესახებ შემდეგი განუცხადებია: „კოოპერაციას მე თანაგრძნობით ვეკიდები, მე მსურდა და ვცდილობდი, რომ ჩემ სახელზე მოსულ შაბიამანს კოოპერატიული დაწესებულება დაპატრონებოდა, ამის გამო რამდენიმეჯერ მომიხდა რჩევა ადგილობრივ საკრედიტო ბიუროსთან. სამეურნეო საზ. მეთაურებსაც მივმართე თხოვნით რომ ეს საქმე მოეგვარებინათ ისე, რომ საზოგადო დაწესებულებას გადასცემოდა მიღებული შაბიამანი, მაგრამ ვერას გავხდი, ბოლოს როცა რწმუნებული მემუქრებოდა შაბიამანის უკანვე დაბრუნებას, რკინის გზის მთავრობა კი აუქციონში გაყიდვას, იძულებული შევიქენი კერძო ვაჭრისთვის გადამეცა, მხოლოდ ჩვენი კონტროლის ქვეშო“ და სხვა. ამის შემდეგ ბ-ნ მულინს განუცხადებია, რომ იმ 5000 ფუთ შაბიამანს, რომელსაც იგი ამ დღეებში მოელის გადასცემს „რეგულიდორს“ ოღონდ დაგვეხმარეთ ისე განაწილდეს კე რძო ვაჭარზე გადაცემული შაბიამანი, რო დაცულ იქნას დადებული პირობა, ამისგამ „რეგულიატორის გამგეობა ამ დღეებ გამოიმუშავებს, გეგმას კოოპერატივთა შ რის შაბიამანის განაწილების შესახებ დ წარუდგენს ბ ნ მულინს.

◆ საზ. „რეგულიატორში“, სარევიზი კომისიამ დაიწყო საზოგადოების საქმეთ და ანგარიშების რევიზია, რაც ამ დღეე ბში დამთავრდება.

◆ ქუთაისში ხოლერა თითქმის მოისპ ამ ხუთი დღის განმავლობაში ხოლერი ავათ არავინ გამხდარა. ხოლერის მოსპო ბას, როგორც ზოგიერთი ექიმები ამბო ბენ დიდათ შეუწყო ხელი მთელი ო კვირის განმავლობაში ყოფილმა ძლიერმა ქარმა.

◆ როგორც მოხსენებული გვქონდა, გუ შინ, ქალაქის სასანიტარო ექიმმა, ისრაე ლების თორაში, ისრაელებს დარი გებით მიმართა ხოლერასთან ბრძოლის შე სახებ, ამიერიდან ისრაელებმა უნდა დაი ქირაონ ქუჩის მგველები, რომელთა მო ვალეობა იქნება, როგორც ქუჩების დაგვ ისე ეზოების. ისრაელებმა დარიგება დი დი ყურადღებით მოისმინეს და მეეზოვე ბის დაქირავებაზეც თანხმობა განაც ხადეს.

◆ დღეს, შუადღის 12 საათზე ქალაქის თეატრის დარბაზში, სახალხო უნი-

ვერსიტეტის გამეობით გაიმართება ლექციების კითხვა, თავიანთ ლექციის გაგრძელებას წაიკითხავენ ვლ. ემუხვარი და ალ. წერეთელი. პირველი ფულის საკითხის შესახებ, ხოლო მეორე ინგლისის ახალი ისტორიის შესახებ.

◆ დღეს კლასიკური გიმნაზიის მშობელთა წრის კრებაა დანიშნული, ხსენებული გიმნაზიის შენობაში, სხვადასხვა საჭირო საქმეების მოსაგვარებლად.

◆ ვინაიდან დაფნის მოშენებას დღეს ბევრმა მიჰყო ხელი, ამის გამო დაფნის თესლი საგრძნობლად გაძვირდა, გირვანქა დაფნის თესლი ამ ჟამად ფასობს 4 მანეთი, როდესაც 3—5 წლის წინეთ ამ ფასში ფუთს იყიდდი.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო დაარსდეს მომხმარებელი საზოგოებანი შემდეგ ადგილებში: სოფელ უშაფათში (სენაკის მაზრა) სახელწოდებით „ოდიში“, სოფელ ტყაჩირში, (ქუთაისის მაზრა) „საშველება“. და სოფ. ბოხვაურში, (ოზურგეთის მაზრა) „დახმარება“.

◆ 28 ოქტომბერს, ახლო მახლო სოფლებიდან აუარებელი სანოვაგე შემოიტანეს ბაზარზე, მაგრამ მაინც ყველაფერი ძვირათ იყიდებოდა.

◆ ამ უკანასკნელ ხანებში ყურძენი იშვიათად შემოდის ბაზარზე, ამის გამო ფასმა შესამჩნევად აიწია, გუშინ ფუთი 10 მანეთად გაიყიდა.

◆ პ. გელეიშვილის საქმე სასამართლოში გუშინ საოლქო სასამართლოში იყო დანიშნული სისხლის სამართლის საქმე პეტრე გელეიშვილისა, რომელიც უჩიოდა გაზეთ „მეგობრი„ს ხონელ კორესპონდენტებს: ვაჭარ მოსიკო ჭელიძეს, სახელმწიფო ქონებათა მოხელე ნ.... კაკაბაძეს და კუხის ამხანაგობის მოანგარიშე პ. გორდაძეს, რომლებმაც ცილი დასწამეს პ. გელეიშვილს, რომ სამტრედიის კოოპერატივის 2400 მან. შესჭამო.

თავმჯდომარემ ორთავე მხარეს წინადადება მისცა საქმე მორიგებით გაეთავებინა. ამაზე პ. გელეიშვილის დამცველმა ევ. გეგეჭკორმა განაცხადა, რომ თუკი ბრალდებულნი აქ, სასამართლოს წინაშე აღიარებენ გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ბრალდების უსაფუძვლობას და უარ ყოფენ მას თქვენწინაშე, ჩვენ მეტს არას მოვითხოვთ, იმათი კანონით დასჯა არ გვაინტერესებსო.

ზემო დასახელებულმა პირებმაც ერთხმათ უარყვეს თავიანთი ბრალდებანი და სასამართლომაც საქმის გარჩევა მოსპო

ამ საინტერესო საზოგადოებრივ მნიშვნელობის საქმის შესახებ დაწვრილებით შემდეგ...

◆ ვ. გ. გიორგაძეს მეფის ნაცვლის საბჭომ ნება დართო, შორაპნის მაზრის, სოფელ ზერდარგანში, გამოკვლევანი მოახდინოს შავი ქვის მადნის დასამუშავებლად.

◆ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა, მაჰმადიან მოწაფეთათვის ქუთაისში გამოგზავნოს ქართული სახელმძღვანელოები „დედა ენა“ ი. გოგებაშვილის 1—და 2 ნაწილი.

◆ სოხუმის საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება, ატყობინებს მთავარ გამგეობას, რომ მათ შეუძლიათ, რიცხვით 100 აჭარელ და ჭანელ მუშებისათვის სამუშაოს შოვნა.

სოფლად და ქალაქად.

ს საჩილაოში საქონლის ჭირია გაჩენილი

— დ. სამტრედიაში ნავთის ნაკლებობაა, ამის გამო ვაჭრებმა ნავთი გააძვირეს, ფუთს მოუმატეს 60 კაპ.

— დ. ჭიათურაში, 14 ოქტომბერს პაპავას შავი ქვის მაღაროებში მომუშავე 18 წლის მუშა სასიკვდილოთ დაშავდა

— ქართლში საქონლის ჭირი ანადგურებს ოთხფეხთ.

— დ. ლანჩხუთში ვაგონების მტვირთავ მუშას, მენაღარიშვილს, მუშაობის დროს დამქირავებელმა უმოწყალოდ სცემა.

კვლავ სანოვაგის კრიზისის გამო.

საზოგადოთ ომი ყველგან და ყოველთვის ააშკარავებს, ამა თუ იმ სახელმწიფოს სუსტ მხარს, როგორც სამხედრო ხელოვნებაში ისე შინაურ ცხოვრებაშიაც.

დღევანდელმა მსოფლიო უმაგალითო ომმა ორი-სამი ზომით მეტათ დაგვანახა საზოგადოთ მთელი რუსეთისა და კერძოთ ჩვენი ქვეყნის სუსტი ორგანიზაცია ხალხისათვის საზრდოს მიწოდებაში.

ომის დაწყებიდანვე მთელმა რუსეთის მოწინავე პირებმა, ვისაც ეს საქმე ეხებოდა ათასნაირი გეგმები შესცვალეს რათა მშვიდობიანი მცხოვრები უზრუნველეყოთ, მაგრამ პრაქტიკული ნიადაგი ვერც ერთმა ვერ მიიღო.

თუ რუსეთი აქამდი საზღვარ გარეთ აურაცხელ პურს გზავნიდა და გარეშე სახელმწიფოს ხალხს კვებავდა, ახლა ის ვერ მოუწესრიგებია, რომ ერთი გუბერნიიდან თუ მხარიდან მეორეში პური გაიტანოს და ხალხი შიმშილს ააცდენოს. აი ერთი მაგალითიც.

ამას წინათ ქუთაისში პურის ფქვილი გამოილია. გაიგზანა ქ. ფოთს საგანგებო კაცი ფქვილისთვის, რადგანაც დეპეშებით არა გაკეთდა რა. როგორც იქმნა ორი ვაგონი ფქვილი გამოაგზავნა ფოთიდან ქუთაისში. მაგრამ რიონის სადგურიდან გამოგზავნას არა ეშველა რა მანამ სანამ ამის შესახებ კავკასიის უმაღლესმა პირებმა არ მიიღეს მონაწილეობა.

ამ მიწერ მოწერაში სამმა დღემ გაიარა მაშინ, როდესაც ქუთაისში ხუთი დღე შიმშილობა იყო.

ასე უხეიროთ არის მოწყობილი საქმე.

და რადგანაც ასე ძნელი შეიქნა ფქვილის მოტანა, ქუთაისის ქალაქის მესვეურებმა იფიქრეს, რომ ერთხელ და სამუდამოთ უზრუნველეყოთ ქალაქი პურით და თვით მოეკიდა ქალაქს ხელი ამ საქმისათვის. საჭირო სესხიც აიღეს.

ქალაქმა ფქვილები გამოიწერა და რამდენიმე ვაგონი კიდეც მიიღო. მაგრამ იმედები გაცრუვდა და პურის მოტანა გაძნელდა. ასედაც უნდა მომხდარიყო, ჯერ ერთი იმიტომ რომ ჩვენი ქალაქის გამგეობა უდროვო დროს იღებს კომერციაში გაკვეთილებს და მეორე ის რომ ვინც რუსეთის ცხოვრებას უკვირდება მისთვის ჭეშმარიტება უნდა იყოს, რომ კერძო გამოცდილ კაცს უფრო შეუძლია რაიმე საქმე მოაგვაროს ე. წ. „პატიოსნური პატივისცემის“ საშუალებით, ვიდრე რომელიმე საზოგადოებას ან ქალაქის წარმომადგენელს, რომელსაც არ—შეუძლია ეს უებარი საშუალება იხმაროს, და უამისოთ კი საქმე არსად არ კეთდება. ამბობენ ქუთ. ერთ გამოჩენილ ვაჭარს ახლაც შეუძლია საკმაო და საუკეთესო ხარისხის ფქვილი მოიტანოს ძლიერ ნაკლებ ფასებში.

ადვილათ შესაძლებელია ეს მართალი იყოს, რადგანაც ნათქვამია „ადგილის ყურდღელს ადგილის წევარი დაიჭერსო“. ჩვენ ამით სრულიად ის არ გვინდა, ვსთქვათ ქალაქმა პურის საწყობის მოწესრიგებას თავი დაანებოს, მაგრამ ახლა ამისთვის დრო არ არის. დღეს კი ვინც გამოცდილია და ვისაც შეუძლია კარგისა და ნაკლები ფასის პურით უზრუნველჰყოს ხალხი, დეე, მან მოაგვაროს საქმე.

ს. ნიშნიანიძე.

***

გულით მწუხარე ვარ—ვიარები,
მამულის ცრემლის ნაზიარები;—
მოქანცულს ბრძოლით გულს დანა დამკრეს,
მკერდ სისხლიანი ჯვარზედ გამაკრეს...

——

არ შემწევს ძალა მომიკლეს ნება,
და სავალალოდ მარად ის მრჩება,—
რომ შავს კუბოში ბედმა ჩაგვჭედა,
სამშობლოს ცხედარს დასტირის დედა...

——

ლადო მაჭავარიანი-

გაკვრით.

პირში ჩალა „დანოსჩიკებს!“

როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, ქუთაისში ხოლერით გარდაიცვალა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელი ლუკიანოვი.

ისიც მოეხსენება მკითხველებს, რომ ყოველივე ადგილს ბევრი მთხოვნელი ჰყავს ხოლმე და ამ ადგილსაც ბუზივით მიეხვია „ღირსეული თუ უღირსი“.

თხოვნები მისცეს აგრეთვე აკადემიელებმაც.

ეს ადგილი ითხოვა ერთმა უნივერსანტმაც. სემინარიაში ნამყოფმა, და ითხოვა იმიტომ კი არა, რომ რაიმე სახარბიელო ყოფილიყოს მისთვის, მას უნდოდა ახალი რამ შეეტანა იმ დახავსებულ არეში, რომელიც შავ-ბნელად დასწოლია ჩვენ ცხოვრებას.

ამას თამამად ვამბობთ, ვინაიდგან მთელი თავისი სიცოცხლე ეს მთხოვნელი ებრძოდა სამღვდელოების ბნელ მხარეებს და ოცდა ხუთი წლის განმავლობაში კალამიც ხელიდან არ გაუგდია ამ ცუდი მხარეების აღსანიშნავათა და ამოსაფხვრელად.

ეგონა თვით სამღვდელოება დააფასებდა მის ამაგს და უსიტყვოდ მოითხოვდა მას თავის შვილების საკეთილ დღეოდ.

ღვთის წინაშე, ყოვლად სამღვდელო გიორგი თანაგრძნობით მიეგება მის თხოვნას და უპირატესობაც მისცა მას. მაგრამ აქ იჩინა თავი იმ საძაგელმა სენმა, რომელიც ისე გავრცელებულია ქუთაისში და ნამეტნავად სასულიერო წოდების წარმომადგენელთა შორის. ეს სენი გახლავთ დაბეზღება, „დანოსი“.

ვიღაც საძაგლებს მუქარის წერილით მიუმართავს ყოვლად სამღვდელოსათვის და სხვათა შორის გაუხსენებიათ ის სახელოვანი ,,ბუნტი'' რომელიც მოხდა სემინარიაში 1893 და რომლის აქტიური მონაწილეც იყო დასახელებული უნივერსანტი—იმ დროს მოწაფე სემინარიის მეექვსე კლასისა.

,,როგორ ძალვეთ ადგილს მთავრობისა და მაშინდელ ეგზარხოსის მოწინაღმდეგესაო''.

საზოგადოების თვალში დღევანდლამდე ბრძოლა ყოველგვარ უსამართლობასთან ვაჟკაცობათ თუ არა, საპატიო საქციელად მაინც ითვლება, მაგრამ დამბეზღებლები თავისთვის თურმე სხვაგვარად ფიქრობენ: ოღონც კი ადგილი ჩავიგდოთ და ფეხებზე გვკიდია ქართული ენაცა და ქართველი მებრძოლიცაო...

ყოვლად სამღვდელო ძალზე აღაშფოთა ამ ,,დანოსმა'' და სამაგიერო პასუხის გაცემასაც აპირებდა, მაგრამ ამ დროს მოხდა ყველაზე უფრო სასაცილო და ,,მედანოსეთა'' პირში ჩალის გამომვლები ამბავი...

თვით ყოვლად სამღვდელოს დაუკითხავად, საჩქარო მოწერილობის ძალით, საქართველოს ეგზარხოსს თავისით უკვე დაუნიშნავს ქართული ენის მასწავლებელი.

ამ ამბავს, სხვათა შორის, ორი დამახასიათებელი თვისება აქვს: 1) ზრუნვას ქართულ ენაზე კისრულობენ ისინი, ვისაც ამ ენისა არა გაეგებათ-რა და მათის მეოხებით უფლება იმერეთისა, თუ სხვა ქართველ მღვდელმთავრებისა იმდენად დამცირებულია, რომ დაუკითხავად ნიშნავენ ქართული ენის მასწავლებელსაც კი!

ვაუწყებთ რა ამ ამბავს ჩვენს მკითხველებს, ჩვენ ასეთ დასკვნას ვაკეთებთ: 1) ისეთ წრესა და ისეთ დაწესებულებაში სადაც დაუბუდნიათ ,,დანოსჩიკებს''. არავითარი ხეირი არასოდეს არ იქნება და 2) ისეთ წრესა და ისეთს დაწესებულებას სადაც ეს,,დანოსჩიკები''არიან თავის დღეში პატივს არავინ დასდებს და ამ წრიდან გამოსულ პატიოსან მუშაკთა მოთხოვნილება—როგორც ერის ავტოკეფალია და მშობლიურ ენაზე აღზრდა მომავალ სამღვდელოებისა—სასაცილოდაც არ ეყოფათ ძალის მქონებელთ, ვინაიდგან, ეს ძალის მქონებელნი ყოველთვის იპოვნიან ისეთებს, რომლებიც ციხეს შიგნიდან გასტეხენ.

ამან დაღუპა საზოგადოდ ჩვენი ქვეყანა, ამან დაღუპა და დააბნელა ჩვენი ეკლესია და ესევე დაღუპავს მომავალშიც ყოველივე ქართველურ დაწყებულობას.

რაც შეეხება იმ მთხოვნელს, რომელმაც შეაწუხა ყოვლად სამღვდელო გიორგი, გულწრფელ სინანულს გამოსთქვამს იგი მის შეწუხებისათვის და ძალზე გახარებულიც არის რომ არ მოუხდა შესვლა იმ ჭაობში, სადაც თურმე ძველებურად ბაყაყები დაბუდებულან.

ვაი ჩვენი შვილების ბრალი იმ დრომდე, ვიდრე ამ ჭაობში მზე შეაშუქებდეს, თორემ ერთხელაც იქნება ამოშრება ჭაობი იგი და ავ კაცს ავკაცობა არ შერჩება!..

მღვდლისშვილი.

იასონი, ნიკო, ისიდორე, გრიშა და ელენე დარჩიაშვილისა გე-
ბელაშვილები მართა სტეფანეს ასული დათეშიძისა, [illegible]
კოწია, ელისაბედი, პარმენი, ვანო, გრიშა, [illegible] და [illegible]
დათეშიძენი გულითადის მწუხარებით [illegible]
ნაცნობთ და მეგობართ ძვირფას და დაუვიწყარ პირველთა დე-
დის მეორის მულისა ხოლო უკანასკნელთა მამიდის

ირინე ბესარიონ დათეშიძის ასულის

გებელაშვილისას

ქ. სოხუმში 27 ღვინობისთვეს გარდაცვალებულის ჩამოსვენებას
და მოუწოდებენ მათ მიცვალებულის სულის მოსახსენებლათ.
გადასახთელ პანაშვიდზე დასასწრებლათ დღეს, კვირას 30 ღვი-
ნობისთვეს 4¹/₂ საათზე საკუთარ სახლში ოლდენბურგის ქ.

ქართული პრესა.

ამას წინად ქართულმა რამდენიმე გაზეთმა ცნობა მოათავსა ვითომც პეტროგრადის უნივერსიტეტთან არსებულ სომხურ ქართულ კათედრის პროფესორად ნ. მარის ნაცვლად პრ. დ. ადონცი დაენიშნოთ და ჩვენი ცნობილის ისტორიკოსისათვის (ივ. ჯავახიშვილისათვის) კი გვერდი აერიოთ.

ამ ცნობამ ბევრი არა სასიამოვნო მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რის გამოც ბ-ნ ჯავახიშვილი „სახალხო ფურცელში“ შემდეგს სწერს:

გაზეთ „საქართველო“-ს 228-ე №-ში „ქართული ბეჭდვითი სიტყვა“ ს სათაურით ქუთაისის გაზეთიდან „ჩვენი მეგობარი“ მოყვანილია ამბავი პრივატ-დოც. ნ. გ. ადონცის პროფესორად არჩევის შესახებ, რომელშიაც საქმის ვითარება სრულის სისწორით ვერ არის აღწერილი. მაინც „ჩვენ მეგობარ“-ში მოთავსებული ცნობა დინჯად და მშვიდად არის დაწერილი. გაზეთ „საქართველო“-ს ამ წერილის შინაარსი თავისებურად გაუგია და საკუთარი დასკვნა დაურთავს. რა კი ამ საკითხს მოულოდნელად „საქართველო“-მ გარკვეული ელფერი მისცა და რედაქციის მსჯელობა ამ საგანზე სრულებით შემცდარია, ამიტომ სწორე მოგახსენოთ ძალიან მეწყინა, როდესაც გაზეთ „საქართველ“-ოში ზემოაღნიშნული წერილი წავიკითხე.

საქმის ნამდვილი გარემოება ამგვარი გახლავთ: ბ. დევანმა აღმოს. ენების ფაკულტეტის კრებაში წინადადება შეიტანა, რომ სომხ-ქართულ კათედრაზე ერთ პროფესორის გარდა მეორეც არჩეულიყო მით უმეტეს, რომ ჩვენ გვყავს ისეთი პირი. პრ.-დოც. ნ. გ. ადონცი, რომელსაც დოქტორის დისერტაცია დაცული აქვსო.

რა კი ერთ კათედრაზე ჩვეულებრივ ერთი პროფესორია ხოლმე, ამიტომ სამინისტროს კერძოდ შევეკითხე და იქ მითხრეს, რომ იმის საწინააღმდეგო არაფერი ექნებათ. მხოლოდ ამის შესახებ ფაკულტეტმა სამინისტროს წინაშე საგანგებო შუამდგომლობა უნდა აღძრასო.

ბ. დევანის ამგვარ წინადადების საწინააღმდეგო ფაკულტეტს არა ჰქონია რა და სამინისტროში შესაფერისი შუამდგომლობა და პრ.-დოც. ნ. გ. ადონცის სამეცნიერო მოღვაწეობის მიმოხილვა გაიგზავნა. როდესაც ნებართვა მოვა სამინისტროდამ, მხოლოდ მაშინ მოხდება ფორმალურად არჩევანიც. კათედრა კვლავ პრ. ნ. ა. მარრს უკავია და შემდეგშიაც ეკავება, სანამ ის თავს არ დაანებებს.

არავითარი შეცილება (კონკურსი) პრ.-დოც. ნ. გ. ადონცსა და ჩემს შორის არ მომხდარა და არც მოხდება და ამის გამო სრულებით უსაფუძვლოა „საქართველო“-ს რედაქციის მსჯელობა იმის შესახებ, ვითომც ფაკულტეტმა გვერდი ამიხვია. თუნდაც რომ შეცილება მომხდარიყო, პრ დოც. ნ. გ. დაონცს, ის ფორმალური უპირატესობა აქვს, რომ მას წელიწადზე მეტია რაც სადოქტორო დისერტაცია დაცული აქვს, მე კი სხვა და სხვა ჩემთვის უფრო საყურადღებო და საგულისხმიერო გამოკვლევებზე მუშაობის გამო სადოქტორო დისერტაციისთვის ჯერ ვერ მოვიცალე.

ყველა ზემომოყვანილის შემდგომ, ცხადია, რომ ჩივილი იმის შესახებ, ვითომც „ჩვენს ეროვნულ თვითმოყვარეობას კიდევ ერთი წიხლი უთავაზესო“ და ვითომც ამგვარი ბრალი ფაკულტეტს ედებოდეს, სრულებით უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს. ჩვენთვის ფრ
სამწუხაროა, რომ გაზ. „საქართველო
მიერ ფაკულტეტისა და პრ.-დოც. ნ.
ადონცისადმი დაუმსახურებელი საყვედური
ეჭვები იყო გამოთქმული: არც ფაკულტე
არც მით უმეტეს პრ.-დოც. ნ. გ. ადონც
არაფერ შეაშია.

რაც შეეხება სომხ.-ქართულ კათედ
გაყოფასა და ორ კათედრად ქცევის საკით
ასეთი დადგენილება ფაკულტეტს ვგონებ
წელიწადზე მეტია რაც აქვს და უნივერსი
ტის ახალ შტატების პროექტთან ერ
სამინისტროშია წარდგენილი, მაგრამ
საუნივერსიტეტო ახალ წესდების შეტანა
გან. სამინისტრომ საკანონმდებლო დაწეს
ლებაში აქამდის ვერ მოახერხა, ამიტომ
საკითხიც გადაწყვეტილი არ არის.

დასასრულ ჩვენ უნდა გვახსოვდეს,
პროფესორების არჩევა ფაკულტეტის ავტონო
ურ უფლებას შეადგენს და ამ საკითხში
რეშე მხარეს ჩარევის უფლება არა აქვს
ჩემის აზრით არც სასურველია რომ ჩარი

უკანონო უფლების

ძალადობით მოპოების ნიმუში

(ქალაქის საქმეების გამო.

ქუჩების ნაძალადებით შევიწროება
თათურ სახლის პატრონებს განუკურ
ბელ სენათ გადაექცათ მანამდიელს რომ
ვი დავანებოთ, ქალაქის თვითმართველ
ბის შამოღებიდან დღემდე თითეული
თგანი ცდილობს და ძალობს თითო-ორ
ლა არშინობით, თუ საჟენობით წაარ
ვან მიწა საქვეყნო ქუჩებს და მიუ
ტონ თავიანთ მამულებს.

ამის ნიმუშებს ყოველ ქუჩებზე
თუ განაპირა ადგილებში, არამედ შუაგ
ქალაქშიაც დიდრონ ქუჩებზეც მრავალ
საგან მრავალს შეხვდებით: ქუჩები გან
შევიწროებულია, სატროტუარე ად
ლები ან სულ არა დატოვებული, ან
დე ვიწრო, ორი მოსიარულე ერთმან
გვერდს ვერ შეუვლის, ქვეითი
ეტლიანი ტუმპოში ითითხნება
ხშირად უარესიც ემართება: მინგრეუ
მონგრეული ოღრო-ჩოღრო ტროტუარ
ბზე ხელ-ფეხს, თავ-პირ, კისერს იმტვრ
ვენ და იგრეხენ.

ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნიმ
ამისას ნახავთ სრულიად უპატრონოთ
ტოვებულ ფერმის, გაბრიელის ქუჩებზე
არქიელის გორაზე, სადაც არა თუ ქუ
პირათ ქალაქის ხაზები დაცულია სიმ

რიულათ სისწორით, სახლებიც კი უგეგმოთ უთავდგუროთ შენდება ხოლმე: ქუჩების განგებ, თუ უნებურათ გაფუჭების დამახინჯების მეთვალყურე ხომ არვინ არის და არა.

საქვეითოთ, თუ ეტლებით სამოძრაო დიდრონ ქუჩებში ფერმის ქუჩა ცნობილია როგორც ერთი უვიწროესი. ამავე დროს იგი უტროტუაროა ანუ ვიწრო ტროტუარებით მეტად ტალახიანმტვერიანი ქუჩაა. სანახევროთ მისი მოუკირწყლაობა წითელი ხიდიდან ჯაჭვის ხიდამდი ხომ ამ ქუჩას პირდაპირ გაუვალ ადგილათ ხდის ნამეტურ ავდრიან ამინდში...

ამას კიდე თუ მიუმატებთ ამ კუთხის არა სანიტარულ მდგომარეობას, რაც გამოიხატება ფეხის ადგილების უქონლობაში, უადგილობის გამო ნარეცხი წყლის ქუჩებში პირდაპირ ღვრაში¹) ნაგვის ქუჩაზე გადმოყრაში და სხ., —ადვილათ წარმოიდგენთ ამ კუთხეში ცხოვრების დუხჭირ, აუტანელ, პირობებს, როგორშიაც ძალა უნებურათ ჩაცვინული ვართ აქაური მცხოვრებლები ზოგიერთ თავგასულ მკვიდრისაგან.

ასეთმა ცუდმა საცხოვრებელმა პირობებმა შექმნა ის მდგომარეობა, რომ ხსენებულ ქუჩებზე თითო-ოროლა ხეირიანი საცხოვრებელი ბინები სრულიად არ ქირავდება ან თუ ვინმე ბედისაგან დაჩაგრული ქირაობს მეტად ძ მეტად მცირე ფასებში. სხვა დიდრონ ქუჩებზე რომ 10—20 მ. ფასობს ოთახი, აქ 5—10 მ. დიდის გაჭირვებით იძლევიან მიუხედავათ იმისა, რომ ამ კუთხის ბუნების პირობები, ჰაერი სხვებისაზე გაცილებით უკეთესია. მოქირავეები ყველა იმას გაიძახიან: ქუჩები, არ გივარგათ, ტალახიანი და ცხვირ-პირ სამტვრევია; აქ ისეთი სიბნელეა ქუჩებში რომ საკმაოა ერთი ფეხი დაგიცდეს და ან რიონში გადავარდები, ან კიდე კლდე ღრეში გადიჩეხებიო. ტროტუარი ამ ქუჩებს არ აქვს რომ სიმშრალით გაიარო და შინ ტალახსა და მტვერში ამოიგვარგნილი არ მიხვიდეო. სრულიად უზრუნველყოფილი არ ხარ, რომ რომელიმე სახლის ბალკონიდან ნარეცხ წყალს, შარდს, განავალს ზედ თავზე არ გადმოგახსმენ და მთელი სხეულს არ გაგიოხრებენ ან კიდე უკეთესი, ნაგავს არ გადმოგაყრიან ბინედან თავზე და სხ. ამგვარები. ამაების გამო ამ ქუჩებზე ბინების ქირაობას, ცხოვრებას ყოველი რიგიანი ოჯახი გაურბის და მიტომაცაა ბინძური მობინადრებისაგან ამ კუთხეში სისუფთავე სრულიად არ არის დაცული, ქუჩები, ეზოები ამყრალებული და დანაგვიანებულია. ფეხისალაგების უქონლობა კი ყოველივე ამგვარ უსუფთაობას, სიმყრალეს ხომ სულ ერთიანათ აგვირგვინებს და ხელს უწყობს ყოველგვარ სენიანობის გაჩენას. და მართლაც ახლანდელმა ხოლერამ სწორეთ ამ კუთხეში პირველათ იჩინა თავი და ბევრი შემთხვევებიც იყო ავათ გახდომისაც და სიკვდილისაც და რომ ჩვენდა იღბლათ ამ ათი დღის ქარიანობას არ მოესწრო, ეს კუთხე გადიქცეოდა ამ სენის ბუდეთ...

ამ კუთხეში სისუფთავის დაცვას, აქ ქუჩების გამშვენიერებას, მაზედ ნაჩვენებ წესრიგზე სახლების გაშენებას და ამრიგათ მთელი კუთხის დამშვენებას თვით აქაური მცხოვრებლები სრულიად არ ცდილობენ, მას არ ესწრაფვიან. პირაქეთ ქალაქის გამგეობამ თუ ათასში ერთხელ (და ისიც პრესის მორიდებით) ყურადღება მოგვაპყრო აქაურ მცხოვრებლებს და აქ რისამე მოწესრიგება განიზრახა, ამასაც კი აქაური მკვიდრნი თუ დროებით შამიხიზნულნი ხელს უშლიან ქალაქის გამგეობის უფროსების ამა თუ იმ განკარგულებებს და მათი უნცროსების მფარველობა-წყალობით წინ ეღობებიან იმათ სისრულეში მოყვანას. ამ რიგათ ციხე ისევ შიგნიდან ტყდება და ქალაქის ინტერესები შეუგნებელი მოყვრებისაგან დამარცხებული რჩება, უგნურთაგან ფეხქვეშ ითელება.

ამგვარათ ირღვეოდა და ირღვევა დღემდე ჩუმათ და მალულათ ქალაქის საამშენებლო წესები და შეუგნებელნი მკვიდრნი ნაძალადევათ უფლობენ იმას, რაც ქალაქის საერთო ინტერესებს აშკარა ვნებას და გაუსწორებელ ზარალს აყენებს...

ამ მოგძო წინასიტყვაობის მოყოლა დამჭირდა განსამარტავათ იმ ფაქტისა, რომელიც ჩემ თვალისწინ მოხდა გუშინ და რომელიც საკმაოთ დამაღონებელი და დამაფიქრებელია ყოველი შეგნებული მოქალაქისათვის, რომელიც ქალაქის საქმეებს გულდაგულ თვალყურს ადევნებს თუნდაც შორიდან..

საქმე შემდეგშია ფერმის ქუჩაზე, გაბრიელის ქ. შესახვევთან მდებარეობს ვაწაძისეული მამული ორ სართულიანი სახლით, რომელიც ახლახან შეუძენია ჯაჭვის ხიდთან მოვაჭრე ვინმე მეთოდე სადღობონის ძე გორდეზიანს. ეს მამული სახაზინოა და ჯერაც გამოუყიდველია მისი ძველი თუ ახალი პატრონისაგან. ახალ მემამულეს განუზრახავს ამ მამულის გაუმჯობესება, ჯერ ქვის გალავანს ავლებს და მერე, ალბათ, ძველის მაგიერ ახალ უკეთეს სახლებსაც გააშენებს ზედ, რაც უგნურის მეტს არვის შეშურდება და არ ეწყინება, ოღონდ ვინმემ მამული გააშენოს და დაამშვენოს.

მაგრამ თავის ვიწრო ინტერესების მოხერხებულათ დამცველ ვაჭარს, ქალაქის საერთო ინტერესების შეგნება სრულიად არ ჰქონია და არც უნდა იგი ვისმესგან გაიგოს და შეიგნოს. მას მოუსურვებია ძალადობით და იმ ერული მოხერხებით უფლება მოეპოვებია თავის ახლად შეძენილ მამულის გასაუმჯობესებლათ, ხოლო ქალაქის საკუთრების დამახინჯება-დასაკუთრებას აბა რას დაგიდევდათ. მიუხედავათ იმისა, რომ თავის ნებით დაწყებულ გალავნისათვის ქალაქის ტეხნიკოსებმა მას გეგმა მიცეს, სწორი ხაზი დაუდვეს მამულზე ქუჩის პირათ, მან მაინც იდროვა და ერთ დღეში, პარასკევს მიასია ზედმეტი მუშები და ხელათ ამოაშენა ხაზ გამრუდებით ქვის გალავანი თავის მამულზე. ამნაირათ მან აქ ეს გზა ჯვარედინი ქუჩები: ფერმის და გაბრიელის დაავიწროვა, დაამახინჯა და შეიტნია თავის მამულში ორი არშინი სატროტუარე და სანარლე ალაგი ქუჩის პირათ.

ამ ნაირათ დაამახინჯა ქალაქის ინტერესების აბუჩათ ამგდებმა ვაჭარმა გორდეზიანმა შესახვევი გაბრიელის ქუჩისა, რომელიც მისი ძველი მეზობლებიდანაც სრულიად დამახინჯებული, დანგრეული და წაბილწულია. ეს ქუჩა კი საუკეთესოთ უნდა ითვლებოდეს და ინახებოდეს, რადგან მაზედ დაიარება მთელი არქიელის გორის მცხოვრებს გარდა ყოველი უცხო მნახველი და მათვალიერებელი შესანიშნავ ისტორიულ განძის, ბაგრატის ტაძრისა. აქაური მცხოვრებლების და ქალაქის უყურადღებობით კი ეს ქუჩა დღიდან მისი გაკეთების ნეტარხსენებულ ეპისკოპოს გაბრიელისაგან მაზედ ხუთი მან. რემონტიც, კი არვის გაუწევია. 20 წლის წინეთ გაკეთებული და მოკირწყლული, —ამ ქუჩის კედლები სულ მინგრეულ-მონგრეულია, მისი ნათალი ქვებით იქ მცხოვრებნი თავის საჭიროებისათვის სარგებლობენ, შენობებზე ხმარობენ, ქვა ფენილი ბევრგან ღვარმა აყარა, ხრამები გაკეთდა და ზედ ეტლები ბრუნდება და მარცხი ხდება. შემკეთებელი კი ამ ორი დღის სამუშევრისა დღემდი არავინ ჩანს არც მცხოვრებლებიდან და არც ქალაქის თვით მართველობიდან. ამგვარათ ეს სამი წელიწადია ამ ქუჩაზე ფეხით თუ ეტლით მოსიარულენი დიდ გაჭირვებას განიცდიან და მიუხედავათ არქიელის თხოვა-მუდარისა ამ ქუჩის ხრამებს შეკეთება არ ეღირსა და არა...

ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქუჩებს კი დღეს ვინმე ჯიბე სქელი ვაჭარიც მოემატა და თავის მოსვლით ცეცხლს ნაფთი დაასხაო რომ იტყვიან, სწორეთ ეს უყო აქაურ მცხოვრებლებს ამ ორი ქუჩის დამახინჯებით მხოლოდ იმიტომ რომ ორი ადლი მიწა შემატებია თავის ისედაც მოზდილ სამოსახლოსათვის.

ხოლო ქალაქის ინტერესების ბიუროკრატიულათ დამცველმა ტეხნიკოსებმა კი თავის (არ ვიცით რით გამოწვეულ) უყურადღებობით ამ ახლად ჩამოსახლებულ ქისა სქელ ვაჭრის მადის გაღვივებას ხელი შეუწყვეს და დაკმაყოფილდენ რა ქალაქზე ხაზის ჩვენებით და ერთხელ ადგილის თვალის გადავლებით, ჯეროვანი თავმდგურობა-მეთვალყურეობა არ გაუწიეს თავაშვებულ ახალ მოსახლეს, რომ ეს სამომავლოთ კიდე უფრო მნიშვნელოვანი ქუჩა ასე რიგათ არ დაემახინჯებინა მას...

დღეს სწორეთ ამ ტეხნიკოსთა უყურადღებობამ მაიძულა ეს ფაქტი პრესაში გამომემჟღავნებინა, რადგან მაზედ სიტყვიერმა ყურადღების მიპყრობამ ვერ გასჭრა იქ, სადაც ჯერ იყო.

ახლა კი ფართო საზოგადოება იყოს ჩვენი მსჯავრის დამდები, მიუხედავათ იმისა, რომ მეზობელ ვაჭრის და მისი გაუმაძღრობის წამქეზებლების წყრომა-კრულვა უკვე დავიმსახურე...

ხოლო „ქალაქის მამებს“ კი ეკუთნის ქალაქის საქმეების ამგვარ არა ნორმალურ, უკულტურობის მაჩვენებელ მოვლენებს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრან და ყველამ თავთავიანთ რაიონებში მეტი ყურადღება იქონიონ ქალაქის საქმეებზე. ხოლო ქალაქის გამგეობას კი დღესაც შეუძლია ვაჭარ გორდეზიანის მიერ ნაძალადებათ წამხდარი საქმე ახლავე გამოაკეთოს თუ კი ქალაქის ინტერესების დაცვა ფართო თვალსაზრისით აქვს წარმოდგენილი...

მეზობელი ისიდორე კვიცარიძე

29 ოქტომბერი.

რუსეთი.

რუსეთში ეხლა უკანასკნელმა ბავშმაც კი იცის, რომ თუ პირველ საჭიროების რაიმე საგანი აკლია ხალხს, იმიტომ კი არა, რომ არ იყოს იგი საგანი, არამედ მხოლოდ უთავობისა და უწესრიგობის გამო დროზედ ვერ აწვდიან მცხოვრებლებს. ასე მაგალითად სამხრეთ რუსეთს რკინის გზის სადგურზე „ზნამენკაზე“ 113,000 ფუთი ნავთი ყოფილა დაგროვილი და თვეზე მეტია, თურმე იქიდან ვერ გააქვთ; ამავე დროს კი სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის მრავალ ქალაქში წვეთი ნავთი არ მოიძებნება.

ბაქოს ქალაქის გამგეობას, ნავთის მრეწველთა საბჭოსა და მეწისქვილეებს 3 მილიონი მან. გადაუციათ კავკასიის ჯარის საჭიროებისათვის პურის მსყიდველ დანილევსკისათვის, რათა მოკლეხანში მან ბაქოს პური მიაწოდოს.

მოსკოვის საიდუმლო პოლიციის მოხელეებს ცენტრალურ ფოსტაში, ერთ ამანათში 48 ათასი მანეთის ხალასი ოქრო აღმოუჩენიათ. ოქროსათვის კონფის კაცია უქნიათ.

მთავრობა დახმარების დაჰპირებია მოსკოვის ქალაქის გამგეობას, თუ იგი ქალაქისათვის შეშას დაამზადებს და მცხოვრებლებს წვრილ წვრილად მიჰყიდის.

ამას წინად მთავრობის დავალებით მთელ რუსეთში თავშესაფარებსა და საავადმყოფოებს რევიზია უყვეს,

რევიზიის ანგარიშიდან გამოირკვა, რომ ხელმწიფე იმპერატორის გვარეულების პირთა 2,500 მდე. ტახტი ინახება.

კერძო პირებისა და ორგანიზაციები ხარჯით კი სულ 60,374 ტახტი ინახება და 21,674 ტახტზე კი ნახევარს ხარჯავენ.

უმაღლეს სასწავლებლების საქმეების გამგეობას დაუდგენია, რომ საექიმო ფაკულტეტის პირველ კურსზე მყოფი სტუდენტები დაითხოვონ თუ მაისში ყველა ეგზამენებს ვერ ჩააბარებენ.

კერძო სამეურნეო საქმეებზე მომუშავე ტყვეთა ერთი მესამედი ნაწილი მუშაობიათ მუშაობისათვის და ბანაკში გაუგზავნიათ.

პეტროგრადში შესდგა მინისტრთა კერძო თათბირი. სასურველად სცნეს, რაც შეიძლება მალე გამოქვეყნებულ იქმნას პოლონეთის შესახებ აქტი.

საშინაო საქმეთა მინისტრი ქალაქთა წარმომადგენლების თათბირს იწვევს საქალაქო რეფორმის პროექტის განსახილველათ.

თ. ღ. აბხაზის, გრაფ მუსინ-პუშკინის და გრაფ უვაროვის არჩევას სახელმწიფო საბჭოს წევრებად პროგრესიული ჯგუფის დიდ გამარჯვებად სთვლიან.

უცხოეთი.

ინგლისის სამხედრო მინისტრის ლორდ კიტჩენერის ხსოვნის პატივსაცემლად დაუბეჭდიათ შექსპირის თხზულებათა აურაცხელი რიცხვი და მუქთად დაურიგებიათ ომში დაჭრილ და დასახიჩრებულ მეომართათვის.

ირლანდიისა და ინგლისის შუა მდებარე წმ. გიორგის ზღვაზე საფოსტო გემი „კონნემარა“ ინგლისიდან მომავალ „რიტრივერს“ დასჯახებია; ორივე გემი ჩაძირულა; სულ დაღუპულა 300 კაცი.

რედაქტორი ი. ცინცაძე.

გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 7 ს.	25 წ.	
„	— საღამ.	— 8 ს.	50	„
ბათომიდან	— დღისით	— 12 ს.	40	„
„	— ღამის	— 2 ს.	20	„
ფოთიდან	— დილის	— 10 ს.	26	„
ტყიბულიდან	— საღამოს	— 7 ს.	00	„
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს.	24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 11 ს.	—	„
„	— ღამის	— 12 ს.	15	„
ბათომისაკენ	— საღამოს	— 7 ს.	3	„
„	— დილის	— 5 ს.	55	„
ფოთისაკენ	— დღისით	— 4 ს.		„
ტყიბულისკენ	— დილის	— 8 ს.	13	„
შორაპნისაკენ	— დღით	— 5 ს.	18	„

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისათვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედ.

დოქტორი მედიცინისა

დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.

ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე.

გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

10—4 დღ. გამ.

ვამზადებ მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჰილაძის შესავალი გაზ „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალების, [illegible] და [illegible] მანავან) ავათმყოფების [illegible] 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე ბეჟანიძის და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ექიმი ი. ჩარკვიანი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში უსხმს „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი: ლვვაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ.

ტელეფონი № 135. თ.

НОВОЕ ПРИБЫЛЬНОЕ ДѢЛО!

ВНИМАНІЮ ЛИЦЪ,

ищущихъ побочнаго заработка

ПОВСЮДУ НУЖНЫ

лица обоегопола

для переписки адресовъ торговымъ фирмамъ по 3 р. за 100 шт. РАБОТА ПОСТОЯННАЯ Обычныя занятія и разстояніе не препятствуютъ, т. к. это дѣло требуетъ въ день ½ часа времени, и даетъ до 100 р. и болѣе въ мѣсяцъ побочнаго заработка. Условія высылаются по полученіи 20 коп. почтовими марками на отвѣтъ. Обращаться письм по адресу: Борисоглѣбскъ, Там. губ. Почтовая №77, А. И. Иванову.

5—

მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი

მარიამ ტ. გალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ერთად ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქერტს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქერტის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37

304—1—თვით.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე ბოკერია დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ბეჭია მ. მ. კოხრეიძე ურცხის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ავი სენი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. დე-ვეზის პრეპარატის საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიჰყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

პრეპარატი ექ. დე ვეზისა სპობს მეჭეჭებს, ჩირქის დენას გულსა და ყელს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიდ სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხერხემლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხითვარშივის თავიდან ასაცდენათ პრეპარატი ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში ა. ნ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

9—(წლიური)

---

[1] ¹) ძალიან ხშირათ ხდება, რომ სახლების ბალკონებიდან ნარეცხ წყალს გამვლელ-გამომვლელებს მოურიდებლად თავ პირზე გადაასხმენ ხოლმე და მტვერს გადააყრიან მრავალი ამ გვარი შემთხვევა ჩვენც გვინახავს...